# სახალხო გაზეთი

№ 178 ოთხშაბათი, 8 დეკემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 178

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большья Ванская ул., N 12, Семену Папалишвили.

ცალკე ნომერი უველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ≡ სახალხო გაზეთი ≡

გაზეთი გამოვა 1911 წელს იმავე პროგრამით, როგორც 1910 წ. გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1911 წელსაც გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით

### მიიღება ხელის-მოწერა 1911 წლისთვის.

გაზეთის ფასი: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ 8 მან. და 50 კაპ., ნახევარი წლით 4 მ. და 80 კ.; ერთ თვით 80 კაპ.

თვიური ფასები:

| | წლით | 11 თვით. | 10 თვით. | 9 თვით. | 8 თვით. | 7 თვით. | 6 თვით. | 5 თვით. | 4 თვით. | 3 თვით. | 2 თვით. | 1 თვით. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში . . . . . . . და ტფილისს გარედ. . . | 8 მ. 50 კ. | 8 მ. — | 7 მ. 50 კ. | 6 მ. 90 კ | 6 მ. 20 კ. | 5 მ. 50 კ. | 4 მ. 80 კ. | 4 მ. — „ | 3 მ. 20 კ. | 2 მ. 40 კ. | 1 მ. 60 კ. | — 80 კ. |
| საზღვარ-გარედ . . . . . | 12 მ. — „ | 11 მ. — „ | 10 მ. — „ | 9 მ. — „ | 8 მ. — „ | 7 მ. — „ | 6 მ. — „ | 5 მ. — „ | 4 მ. 50 კ. | 3 მ. 50 კ. | 2 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |

ცალკე ნომერი უველგან თითო შაური. ● დამატებიანი ნომერი 7 კაპეიკად.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის" კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

ხელის მოწერის პირობები:

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადოს: ხელის მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის" კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ, редакція „Сахалхо газети".

დამდეგ 1911 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის" დამოუკიდებლივ განზრახულია გამოიცეს რამდენიმე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა. თითო წიგნი იქნება 300—500 გვერდამდი. გამომცემლებთან შეთანხმებით „სახალხო გაზეთის" წლიურ ხელის მომწერლებს თითო წიგნი დაუჯდებათ 50 კაპ., სხვებისთვის კი ეღირება არა ნაკლებ თითო მანათისა.

---

6 დეკემბერს გარდაიცვალა

**ელისაბედ (ლიზა)** პეტრეს ასული **ქაჯაიასი,**

რასაც ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილნი განსვენებულისა ნადეჟდა და თამარი სარდიონის ასულნი ქაჯაიები. მიცვალებულს მოასვენებენ მიხაილოვიდან 9 დეკემბერს, ტფილისის სადგურზე, დილის 9 საათზე, საიდანაც წაასვენებენ კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვა იქვე. (1—265—1)

---

5 ამა დეკემბერს, ლ. ახალ სენაკში ტრაგიკულად მოკლულ იქმნა

**სილოვან ექვთიმეს ძე სულაქველიძე,**

რომლის დაკრძალვა დანიშნულია ამა თვის 9 რიცხვს, დღით ხუთშაბათს, 4 საათზე, სოფ. საჯილაოში, ილორის წმ.-გიორგის ეკლესიაზე, რასაც აუწყებენ ნათესავ-მეგობართ მშობლები განსვენებულისა ექვთიმე ოქროპირის ძე სულაქველიძე, და კესარია სულაქველიძისა, ძმები—გერასიმე და გიორგი სულაქველიძეები, ბიძები—ბიქტორ და შალვა ბასკანძელაძეები. (1—266—1)

---

ანნა გიორგის ასული და ივანე მათეს ძე დეკანოზიშვილები მწარედ გულ-დაწყვეტილნი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხვალ, ხუთშაბათს, 9 ამა დეკემბერს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებიდან, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ, დილის 10 საათზე, გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი თავიანთ უსაყვარლესის შვილის

**ილუშას**

სულის მოსახსენებლად. (1—264—1)

---

## ქართული თეატრი

● ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა ●

კვირას, 12 დეკემბერს, 1910 წ.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

### ქმართა სკოლა

კომედია 3 მოქმედებად მოლიერისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

II

### მუსიკა და დეკლამაცია

III

### ზულმა იზრძნო

დრამ. 1 მოქ. თარგ. მ. ხაფაროვ-აბაშიძისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ტ. აბაშიძე, დავითაშვილი, ლოლუა, პიერრეტა, ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გვარამძე, ზარდალიშვილი, მამფორია, მელიქინეთხუცესიშვილი, ვ. მატარაძე, მაჭავარიანი, მგალობლიშვილი, კანდელაკი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ბენეფისოა.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ვ. აბაშიძე. ადმინისტ. ქართ. დრ. საზოგადოებისა. 5—1

---

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

---

**ექიმი** ჯაფარიძე

ქ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—32)

---

**ექიმი** რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—29)

---

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—282

---

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 34.

ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ც. ამირეჯიბისა და ან. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## მედეია

ისტორ. დრამა 5 მოქმ. სუვორინისა და ბურენინისა, თარგ. დ. მესხისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ამირეჯიბი, ვიქტორელი, ჩერქეზიშვილი, ჩერგაძე. ბ-ნნი: გუნია, გედევანოვი, მამფორია, მდივანი, ჟიჟიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ვ. გუნია. ადმინისტრაცია: ქართ. დრ. საზოგადოება.

✦ 11 დეკემბრისათვის დანიშნულია ვ. აბაშიძის ბენეფისი. ✦

(1—1)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღით და ღამით.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ლამბაშიძე** ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

**გედევანიშვილი** მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო** ვ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

**კარშინი** ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღლაკელიძე** გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე** ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი** ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი** გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. $2$—$2^1/_2$ ს.

**მელიქიშვილი** ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

**ფირალოვი** რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

**პაპოვი** ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე $2$—$2^1/_2$ ს.

**სობოლევსკი** ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—345)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. [illegible]**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**[illegible]** დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირაობ. $11^1/_2$ $12^1/_2$ საათ.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წ— ნ.—508)

---

წიგნის გამომცემელ

## „ალიონი"-საგან

ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ის სამი წიგნი, რომლებიც ხელის-მომწერთ დავპირდით, დანიშნულ დროზე ვერ გამოვეცით. ამიერიდან კი ახლო-მომავალში გამოცემის საქმეს ისევ შევუდგებით და თუმცა გვიან, მაგრამ წიგნები უსათუოდ დაიბეჭდება და დაურიგდება ხელის-მომწერთ. გამომცემლობის გამგე თავის თავზე ღებულობს ყოველგვარ პასუხის-გებას ხელის-მომწერთა წინაშე, **რომელთაგან შემოტანილი ხელმოსაწერი თანხა უზრუნველყოფილია და მოხმარდება მხოლოდ ხსენებულ წიგნების გამოცემას.** ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვთ ბ-ნნთ ხელის-მომწერთ, ნუ შეაწუხებენ ხშირის შეკითხვებით ამ წიგნების შესახებ ბ-ნნთ აგენტებს (კვიტანციის გამყიდველთ).

(ბ—253—3) პატივისცემით წიგნ. გამომც. „ალიონი"-ს გამგე: **[illegible]**.

---

## ნაშრომი (3):

რუსთაველის გარშემო. ქართული ბიბლია მე VI საუკ. ანწერა, ტექსტები, ლექსიკონი. ფასი 20 კ. (5—250—3)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრესს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე

**ი. მ. ახმიხოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**მონხე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა $1^1/_2$—3 სათ

**ნოვიცკი**—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

**უკლობდნიკოვი**—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

**რიდელი**—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**სარაპ**—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.

**ვესელოვზოროვი** ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

**ლიმონი**—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

**დ. ა. მხიტარიანცი**—სიფ., ვენერ., დილის 9 ნახ. საათ. 10 ნახევარ ს. ყოველ დღე.

**პონდოევი**—ნერვ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ დღე 2—3 საათ.

**ხატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის ზრატით. (100—ნ.—30)

---

**ექიმი** ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილაროვის სახლი, (50—170—26)

---

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გიროჩნის ქ., № 9. (უ)

---

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

---

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

---

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი

ხწავლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფებს; პროფესორ მატშიეუს სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქ. N 39. (100—40)

---

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

### მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—ნ.—101)

---

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ნაკადული"

(წელიწადი მეშვიდე)

1911 წელს გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა. წლის განმავლობაში ხელის-მომწერი მიიღებს

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ: 1. ლევ. ტოლსტოის ბავშვობა და სიყრმე, რომელიც ითარგმნება განსაკუთრებით «ნაკადულისათვის», ლევ ტოლსტოის ბიოგრაფიით და სურათით. 2. რჩეულ მოთხრობათა კრებული.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა ხუთი მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—7 მანეთი. ცალ-ცალკე გამოცემა მცირეწლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მაეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის" რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში. თავ.-აზნაურთ ქარვასლაში).

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თ. პ. ი. თუმანიშვილი.

---

## ტფილისი, 8 დეკემბერი

**არყის გამომხდელთა პრემიები.** სახელმწიფო სათათბიროს უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქმნა კანონ-პროექტი იმის შესახებ, მიეცეს თუ არა მაგარ სასმელების გამომხდელ სავაჭრო სახლებს და ქარხნებს დამატებითი პრემია; ამ კანონ-პროექტის განხილვა გამოიწვია იმან, რომ მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვით ამ საჭიროებისთვის გადადებული ფული, საბიუჯეტო კომისსიის აზრით არაა საკმაო, ვინაიდან მაგარ სასმელების წარმოებამ იმატა. ყველამ იცის, რომ რუსეთში მაგარ სასმელების წარმოება იმდენად განვითარებული, რომ ამ წარმოების კრიზისზე ლაპარაკი და მწარმოებელთათვის

პრემიების დანიშვნა ზედ მეტად უნდა ჩაითვალოს.

დახმარების აღმოჩენა ისეთ წარმოებისთვის, რომელიც ხელს უწყობს ხალხის დაჩაგვრებას, რომლის მეოხებითაც ათასობით ხალხი ჰკარგავს ჯან-მრთელობას და, როგორც სულიერად, ისე ხორციელადაც გადაგვარებისა და დაცემის გზას ადგება, დახმარება ასეთ წარმოებისათვის დიდს შეცდომად და დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს.

ჯერ ისევ 1908 წლის სათათბირო ეცადა შეემუშავებინა საკანონმდებლო პროექტი მაგარ სასმელების მწარმოებელთათვის დახმარებისა და პრემიების მიცემის შესახებ, მაგრამ დღევანდლამდე ამის შესახებ არაფერი ისმოდა. ამ პროექტის განხილვა და დაკანონება მით უფრო საჭირველი იყო, რომ განზრახვა ჰქონდათ მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვაში ამ მიზნისათვის დადებული თანხა სახალხო განათლების საქმეს მოხმარებოდა.

თუმცა სახ. სათ. 13 დეკემბრის სხდომაზე გამოსთქვა ის აზრი, რომ კანონ-პროექტი პრემიების შესახებ უკვე დაკანონებულია და ამიტომ, როგორც ყოველთვის ეხლაც საჭიროა გადაიდოს ამისთვის საჭირო თანხა,—სათათბირომ მაინც უარჰყო იგი, და ამით დაამტკიცა თავისი დამოუკიდებულება.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მზის-დარი თანამშრომელი მ. მენშიკოვი „მზიან რუსეთზე" სწერს „ნოვ. ვრემ." 12474 ნომერში. ამ წერილში იგი ჩვეულებრივის გულახდილობით **„ნამდვილ სიმართლეს ამჟღავნებს"**. წერილი თურქესტანის მხარეში რუსეთის მოღვაწეობას ეხება და სხვა განაპირა ქვეყნებსაც იხსენიებს. მოვუსმინოთ:

„უპირველესად საჭიროა გავარკვიოთ იმ მოსაზრების სათავე, რაზედაც უნდა ემყარებოდეს რუსეთის მოქმედება შუა აზიაში. ებრაელები, რომელნიც მთელს დედა-მიწაზე გაჰკივიან, ვითომც რუსეთი ერობისა და თემების მყლაპავი იყოს, ვითომც იგი ყველა განაპირა ქვეყნებში ბარბაროსულ ძალით ანადგურებდეს ყოველგვარ კულტურას. ამ საზიზღარმა ცილისწამებამ ჩვენთვის მავნე გავლენა იქონია საზღვარ-გარედ.

ამისათვის საჭიროა ყოველის შემთხვევით ვსარგებლობდეთ და ეს ცილიწამება გავაბათილოთ. **სიმართლე**, ნამდვილი სიმართლე სულ წინააღმდეგს ამტკიცებს: ფინლანდია რომ დავიპყარით, ფინები შვედების ათას საუკუნეთა აუტანელ მონობიდან დავიხსენით; პოლონეთში პოლონეთისა და რუსის მდაბიო ხალხი პანების ბატონობიდან გავანთავისუფლეთ, ბალტიის მხარეში —ლატიშები და ესტონელები—ბარონთა უღლიდან გამოვუშვით, კავკასიაში ყველა ეროვნების მშვიდი მკვიდრნი მთიულთა აწიოკებისაგან დავიხსენით. ბოლოს, ჩვენ მიერ დაპყრობილი განაპირა ქვეყნები კულტურულად გაიფურჩნენ, აყვავდნენ, იმ ზომამდე, რომ დამპყრობელ ერსაც შურს აღუძრავს. იგივე მოხდა აზიაშიაც"... და სხვა.

განმარტება არ ესაჭიროება ამ ამონაწერს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 დეკემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**ბოსნია.** ვისნიჩის გამასწორებელ სახლში ადმინისტრაციის წინააღმდეგ აჯანყდენ. ჯარმა დააშვიდა.

**პეკინი.** კონსტიტუციურმა პალატამ საგანგებო კომისიას დაავალა, განცხადება შეადგინოს 1898 წ. რევოლუციის მერე საზღვარს გარედ გაქცეულ რევოლუციონერთა—კან-იუ-ვეისა, ლან-ცი ჩაოსა და სხვათა პატიებაზე და სამშობლოში დაბრუნებაზე.

**სტამბოლი.** რუსეთის იმპერატორის სახელწოდების დღეს, გაზ. „ტიურკი"-ს მეთაური წერილი აღნიშნავს, რუსეთის იმპერატორის მშვიდობიანსა და განმანათლებელ მოღვაწეობას, აღნიშნავს მის პოლიტიკის პირდაპირობასა და ლოიალობას ახალგაზდა ოსმალეთის მიმართ. გაზეთი წინასწარმეტყველებს, რომ ურთიერთ ინტერესებზე დამყარებული განწყობილება მჭიდრო კავშირს შეჰქმნისო.

**ლიმა** (პერუ). მეამბოხეები აბანკასთან ბრძოლის შემდეგ აიაკუჩოსკენ გაემართნენ. მათს წინააღმდეგ მთავრობის ჯარი გამოვიდა.

**კადისი** (ესპანია). ზღვამ ერთი ნავი გამორიყა. შვიდი მეზღვაური დაირჩო.

**ნიუ-იორკი.** გონდურასიდან იუწყებიან: სან-სალვადორის მახლობლად ილოიანგის ტბაზე მიწის ძვრის დროს, ერთი კუნძული წყალმა შთანთქა. 170 კაცი დაიღუპა.

**ვაშინგტონი.** ტავტმა განაცხადა: შტატებს ზღვის პირად ჩინებული სიმაგრეები და საუცხოვო სამხედრო გემები აქვს, რის გამოც ზღვის მხრიდან არაფრისა არ ეშინიანო. შეერთებულ შტატების ხალხი თავის დღეში არ იკისრებს მუდმივ ჯარის ყოლას, რომელიც გაუმკლავდებოდეს უდიდეს სახელმწიფოთა სამხედრო ძალასაო.

**ბერლინი.** გერმანიის მთავრობამ ინგლის სამხრეთ-აფრიკის ომის დროს მიღებულ ზარალის ანაზღაურება მოსთხოვა. ინგლისმა არ იკისრა, რამაც დიპლომატიურ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ჰფიქრობენ,—ეს საერთაშორისო უფლებას ეხება და იმედი აქვთ, რომ ეს დავა ჰააგის კონფერენციამ გადასწყვიტოს. ამ საკითხს იურიდიულის მხრივ გაარჩევენ და პოლიტიკურს ელფერს არ მისცემენო.

**ლონდონი.** 5 საათია. არჩეული 270 ლიბერალი, 272 უნიონისტი, 43—მუშათა პარტიისა, 73—რედმონდის მიმდევარი, 9—ობრიენის მიმდევარი.

**ნიუ-იორკი.** რკინის გზის ელექტრონის მთავარ სადგურზე გაზმა იფეთქა, რასაც ნალმის აფეთქება მოჰყვა, 12 კაცი მოჰკლა, 30 დაიჭრა.

**ფრენა**

**დუვრი.** მფრინავი გრეგემუტი საფრენიდან გადმოვარდა, მსუბუქად დაშავდა და ტვინი შეერყა.

**სტამპი.** (საფრანგეთი) მფრინავი ფარმანი გუშინ 9 ს. 10წ. აფრინდა $8^{1}/_{4}$ საათში 463 კილომეტრი გაიარა და საღამოს 5 ს. 25 წ. მიწაზე დაეშვა.

**რუსეთი**

**ეკატერინოსლავი.** ერობის კრებამ გადასწყვიტა საზაფხულოდ ერობის სკოლათა მასწავლებელთათვის პედაგოგიური კურსები მოაწყოს.

**კიევი.** დნეპრში წყალმა ხუთი არშინით მაღლა აიწია და წალეკა ტრუხანოვის კუნძული და ქალაქის მინდვრები. „სლაბოდკაში" წყალმა ბაზრის მოედნამდე უწია. მდინარის მარცხენა მხარეზე აივსო დაბლობები. წყალი სოფლებს უახლოვდება. ბევრი წვრილი გემები და ნავები დაიმსხვრა და წყალმა წაიღო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს მთელი ქალაქი დღესასწაულობდა. ყაზანის ტაძარში მოსკოვის და კიევის მიტროპოლიტმა ვლადიმერმა და ფლაბიანემ წირვა გადაიხადეს. მრავალ ხალხისა და სასულიერო წოდების თანადასწრებით.

**მოსკოვი.** მოსკოვის მფრინავ საზოგადოებას განუზრახავს მოიწვიოს კრება.

**ხოლერა**

**სტამბოლი.** პარლამენტის სხდომები დაიწყო. ერთს კვირაში ხოლერით ავად გახდა ქალაქში—197, ჯარში—13, ქალაქში გარდაიცვალა—107, ჯარში—6.

**პეტერბურგი.** ხოლერით აღარავინ გამხდარა ავად. ავად არის—6.

# ახალი ამბები

**ტფილისი**

✦ **დეპუტატ ჩხეიძის საქმის გამო.** „ნოვოე ვრემია"ს ტფილისელი კორესპონდენტი ეხება დეპუტატ ჩხეიძეს, რომელსაც ვითომ ბოროტად მოეხმაროს სახელები: „კარლო და ნიკოლოზ" ბათომისა და ბაქოს ქალაქის საბჭოს ხმოსნად ყოფნის დროს და გაკვრით იხსენიებს ბათომის ქალაქის მოურავს ანდრონიკაშვილს, რომელიც ვითომ ჩხეიძის მოხერხებით იყოს არჩეული („ზ".)

✦ **ტფ. კადეტთა კორპუსის ახალი შენობა.** უკვე შედგენილ იქმნა ხარჯთ-აღრიცხვა კადეტთა კორპუსის ახალ შენობისა, რომელიც უნდა ააგონ ვაკეზე. ხარჯი ნავარაუდევია 1.600,000 მანეთი. ხარჯთ-აღრიცხვა სამხედრო მინისტრს გაეგზავნა სახელმწიფო სათათბიროში განსახილველად წასადგენად.

✦ **გაზეთ „საქმე"-ს თანამშრომელთა ბედი.** როგორც ვწერდით, ამას წინად გასჩხრიკეს და დააპატიმრეს გაზეთ „საქმე"-ს რედაქციის თანამშრომელნი, რომელნიც მეორე დღეს ისევ განთავისუფლებულ იქმნენ, გარდა თეოფილე თურმანიძისა. 20 ნოემბერს კვლავ დაპატიმრებულ იქმნა კანტორის გამგე ნ. კაალაძე. ამავ დღეს დააპატიმრეს ვლადიმერ ახმეტელაშვილი. დაპატიმრებულთა საქმე, როგორც გადმოგვცეს, გადაეციათ ტფ. ჟანდარმთა სამმართველოსათვის.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები.** ამ დღეებში ხმოსნებს კერძო თათბირი ჰქონდათ ხმოსანთა არჩევნების შესახებ და დაადგინეს, არჩევნების დროს ქალაქი დაიყოს სამ საარჩევნო უბნად ისე, როგორც წინად იყო.

✦ **შავი ჭირის მოლოდინში.** ტფ. ქალაქის სანიტარულ-აღმასრულებელმა კომისიამ დაადგინა ორი რაზმი შეადგინოს შავჭირთან საბრძოლველად, რომელშიაც იქმნებიან ექიმი, ტექნიკოსი და მუშა. ერთს რაზმს დაევალება ვირთაგვების დაჭერა. დაჭერილ ვირთაგვებს გამოიკვლევს ექიმი ა. ა. მუხარინსკი. ამავ საგნის გამო დღეს, საღამოთი, ქალაქის გამგეობის სადგომში, კრება ექმნება ქალაქის სანიტარულ-აღმასრულებელ კომისიას.

✦ **კრება.** ხვალ საღამოს ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობას წევრთა მორიგი კრება მოხდება მიმდინარე საქმეთა განსახილველად.

✦ **სინოდის ბრძანება.** თანახმად უწ. სინოდის ბრძანებისა, ქართლ-კახეთის სინოდალურმა კანტორამ მისწერა იმერეთისა, გურია-სამეგრელოსი და სოხუმის ეპისკოპოსებს, აგრეთვე საქართველოს ეპარქიის მონასტერთა ბლაღოჩინებს, მონასტრების საჭიროებისთვის ფულის მოგროვება აღუკრძალეთ ბერებს, ფულის შესაგროვებელი წიგნები ჩამოართვით და მოსასპობად აქ გამოგვიგზავნეთო. ეს განკარგულება ეცნობებათ აგრეთვე ამიერ-კავკასიის გუბერნატორებს და ოლქების უფროსს.

✦ **საეკლესიო წიგნები ქართულად.** უწ. სინოდს დაუმტკიცებია წევრნი საგანგებო კომისიისა, რომელთაც ევალებათ ქართულს ენაზე საეკლესიო წიგნების გამოცემა.

✦ **ფრენის სკოლა.** ტფ. საგრენადერო პოლკთან არსდება ფრენის სკოლა. ხელმძღვანელად მოწვეულია ცნობილი მფრინავი ა. ა. ვასილიევი.

✦ **„სტარო-ობრიადცების" გადმოსახლება კავკასიაში.** პეტერბურგში მიღებულ ცნობით, მიწადმოქმედების სამინისტროს წინადადება მიუცია კავკასიის მიწადმოქმედების სამმართველოს მთავარ გამგესთვის, ასი ნაჭერი მიწა შეიგულეთ „სტაროობრადცებისთვის" ზღვის პირად მდებარე ადგილებშიო.

✦ **ჩვენი მოსწავლენი.** პოლიციის ცნობა გადმოგვცემს: 4 დეკემბერს, ღამით 11 საათზე, ავჭალის ქუჩაზე, კარბელოვის დუქანში ქალაქის მეთერთმეტე უბნის ბოქაულმა ქართულ გიმნაზიის 4 მოსწავლეს მოასწრო. მოსწავლენი ღვინოსა სვამდნენ. სამმა მათგანმა: მერვე კლასის მოსწავლეებმა: დავით მაჭავარიანმა და ქრისტეფორე რაჭველიშვილმა და მეშვიდე კლასის მოსწავლემ მიხეილ საყვარელიძემ თავიანთი გვარი დაასახელეს და შესაფერი ბილეთებიც აჩვენეს, რის შემდეგაც განთავისუფლებულ იქმნენ. მეოთხემ ბილეთი არ აჩვენა და უთხრა, ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მოსწავლე შალვა მიხეილის ძე ჩიჩუა ვარ, საკუთარ საქმეთა გამო ტფილისში ჩამოველ და დროებით ვცხოვრებ ვეძინის ქუჩაზე, ტფ. ქართულ გიმნაზიის მოსწავლებელ პეტრე მირიანაშვილის ბინაზეო.

ვინაობის შესამოწმებლად ეს უკანასკნელი პოლიციელის მიერ გაგზავნილ იქმნა ქალაქის მეორე უბნის საპოლიციო სამმართველოში, მიხეილისა და კოროჩნი ქუჩის კუთხეში პოლიციელს თავს დაეცა შეპყრობილის სამი ამხანაგი და ხელები დაუჭირა. შეპყრობილი გაიქცა, მხოლოდ თავდამცემნი ჩქარა შეპყრობილ იქმნენ მეეზოვესა და სხვა პოლიციელის შემწეობით. და აღმოჩნდნენ ამავ გიმნაზიის. მოსწავლენი დავით მაჭავარიანი, მიხეილ ალავიძე და საკომერციო სასწავლებლის მეხუთე კლასის მოსწავლე ივანე გაჩეჩილაძე. პოლიციელის ხელიდან გაქცეულ მოსწავლის ვინაობა გამოირკვა! აღმოჩნდა ამავ სასწავლებლის მოსწავლე შალვა პეტრეს ძე მირიანაშვილი. მათს საქციელის შესახებ ეუწყება სამოსწავლო მთავრობას.

✦ **როგორც გავიგეთ, საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი პეტერბურგიდან ტფილისში დაბრუნდება ამ თვის შუა რიცხვებში.**

# გლეხი და წარჩინებული

გლეხმა ჰსთქვა: „წყეული იყოს
დღე ჩემის გაჩენისაო:
ვერცარა ღვთისა გავიგე,
ვერცარა სიცოცხლისაო:
პური არა მაქვს, პურს ვეძებ
კაცი სამოცი წლისაო.

მითომ კი ვშრომობ, თავს ვიკლავ
ათასგვარ საქმეებშია:
რა ხნვა და ფარცხვა, რა თოხვნა,
რა ბარვა, თიბა, მკაშია;
მაგრამ არ იქმნა, ვერ გავძეღს
იმ ერთი ლუკმა პურითა;
ნეტავი ცოლი და შვილი
არ გამეგონა ყურითა!

შრომა?.. ჰო, განა მას ვჩივი,—
ის წმინდა არის წმინდათა;
მაგრამ, რომ ჰშრომობ, სად მიდის,
სად იკარგება მუქთადა?

მიდიხარ სახლში დაღლილი
და გაწუწვილი ოფლითა,
გხვდება მშიერი ცოლ-შვილი,
აკრეფებული კონკითა;
ხე-ქვასაც გული დაეწვის
მაშინ იმათი ცოდვითა.

სახლიც სახლია? რას ბრძანებთ!
მთლად გაგოზილა მჭვარტლითა,
საფენს, გგონია მიაგნო,
დღესაც რომ ეძებს სანთლითა?

მაგრამ ვენაცვლე მაინცა
თავის ბეჩავას სახლასა.
დიდი კაცები თუმც მასში
არ გამიცვლიან თავლასა.

შაქრუასაკენ დავსწუხდი,
რათახანია ჯარშია.
მომსწავლი შვილი მამისთვის
დიახ კარგია სახლშია.

რომ წერა-კითხვა ვიცოდე,
გავუგზავნიდი ბარათსა.
მაგრამ გლეხების სახელოდ
მუქთად ვინ გაჰხდის ანბანსა?

კიდე რამდენი რამ გვაკლავ,
მაგრამ ვინ დაფიქრებულა?
გლეხის ოცნება მის ბუდის
იქით არ გაცილებულა.

თუ ფანჩატური აფარავ,
წვიმა არ ჩაუდიოდეს;
ყვავარი ხარი-კამეჩი
გუთანზე დაუდიოდეს;
ერთი ათი დღის სახნავი,
ზედ ყანა მოუდიოდეს!
ნუნუაც ერთი საპალნე
ქვევრებში ჩაუდიოდეს;
მუცელი, სავსე მჭადითა
ჰქონდეს რომ არა ჰშიოდეს;
თანაც ორ-სამი დედალი,
კარზე მამალიც ჰყიოდეს
და სადორეში თუ მასთან
ცხრა-ათი გოჭიც ჰკიოდეს,—
სხვა იმას აღარა უნდა,
მითომ ბევრი რამ ჰქონია,
და თავის ტილი დოვლათით
ქვეყნად აღარვინ ჰგონია!

შინ-ნგხვი, გარეთაც-ნეხვი,
მომურდლულ-მოთანთხლილობა.
შერცხვეს ცხოვრება და კაცი
და მის ოჯახისშვილობა!

იტყვის კი: „მამა-პაპასა,
ვენაცვლე, ესა ჰქონდაო
თუ ნასწავლები არ იყვნენ,
მაშ ის დრო არა ჰჯობდაო?"

სხვების ცხოვრება წინ გვიძევს,
შიგ ჩვენი ოფლი სტანაო;
ცხოვრება სუფთა და ტკბილი
წინ მიდის თანდათანაო,
ვერც სილატაკემ ვერც ამან
ჩვენ გონს ვერ მოგვიყვანაო!

უარესს დღეში ჩავსცვივდეთ
ჩვენთვის იქმნება კარგაო,
იმით, რომ უკეთესისა
ნდომა რად დაგეკარგაო?"

**წარჩინებული.**

რას ამბობ, ბიჭო, რას ჰჩივი
ემაგრე გაცხარებული?
სხვა ვინღა არის ნეტავი
სიცოცხლით დაამებული?
შენ რომ შენს ამბობ, მითომ ჩვენ
რაღა ხეირი გვაყვრია,
რომ ჩვენი ტკბილი ცხოვრება
ყველას ენაზედ აკრია?

შენ თუ მიწური ქოხი გაქვს,
მე—სახლი სართულებითა;
შენ—მჭვარტლიანი, მე—შიგნით
მორთული ხალიჩებითა;

შენ თიხის ჰურჭელსაც ჰნატრობ,
მე კი ვერცხლისაც მიამწყინდა.
მაგრამ რას შეღავათს მაძლევს,
ოქრო და ვერცხლი რად მინდა?

დღეს-ხვალ მოვკვდები,
ეს ჟამი გადავარდება,
და ჩემი კაი ყოფნისა
რაღა ბედალი დამრჩება?

მკვდრებს კი, ხომ იცი, მე და შენ
ორთავე საფლავში ჩაგვყრიან
სამარადჟამო საწოლად,
ზედ მიწას შემოგვაყრიან.

განა შენ ტანჯვით მჰკვდები
და მე—სიამოვნებითა?
იქნებ მე სულითაც წავწყმდე,
შენ წარსდგე იაღებითა?*)

**გლეხი.**

შიმშილ-სიმაძღრეს ყმაწვილო,
მაგრე უცქერი როცაო,
შენი რომ ყველა მე მომე,
ჩემსას—შენ დაგილოცაო,
ეგ იაღობაც შენ გქონდეს,
ჩემთვის ისაც კმარაო.
მაგრამ, სანამდე ეტყოდა,
ყმაწვილი გაიპარაო.

**ბაჩანა.**

# ანაკრეონის საფლავიდან

—ჰე, შესდეგ გამვლელო, ნუ თუ შენს ყურადღებას არ იპყრობს ეს არე-მარე? საფლავში ვარ... საფლავში, მაგრამ მაინც ვხედავ მეწამულ პორფილ მოსხმულ ცას, სევდიანად ცრემლად, რომ დნება მე ისე შთავედი საფლავს, რომ მისი მწუხარება არ მინახავს, თურმე სხვა ყოფილა შემოდგომა. სიცოცხლეში ბედნიერებით გაბრუებულს მე არ შემიჩნევია მწუხარება.

—ბედნიერი ყოფილა მაშ ანაკრეონი, მისთვის რომ გაუსწვრია, მე მხოლოდ გაზაფხულს ვუმღერდი, გაზაფხულს ფერად სიზმრებისას უმღერდა ჩემი ქნარი.

—ოხ! ძნელი ყოფილა, ძნელი შემოდგომა...

გამვლელო, იწამე ღმერთი, ვარდები დარგე ჩემ საფლავზე, ვარდები... მე სულ მათ ვუმღერდი, მათ ვამკობდი; ეხლაც მინდა, რომ მათ უმზერდე. ეს თეთრი სავანე, რომ გადაფარებია მიწას, სულს ხუთავს მისი სითეთრე. არ მინდა თოვლი უმისოდაც გაციებულს სულს უფრო აციებს.

ვარდები დარგეთ ჩემ საფლავზე, ვარდები!

ნეტა რა იქნა ჩემი ბულბული, საფლავშიაც მესმოდა მისი სევდიანი ჰანგები, ეხლა სხვაგან წასულა, მის მაგიერად ქარიშხალი ზუის ჩემ საფლავზე, დამკვითინებს ველურ ნანას და ჩემი ძვლებიც ბანს აყოლებენ, თუმცა სულს კვლავ გაზაფხული ეზმანება.

—გამვლელო, მარქვი, რად დაღვრემილან ჩემ საფლავზე ვაზები, კვლავინდებურად რად არ ეხუტება ტოტი-ტოტს, რა იქნენ, სად წარვიდნენ ვარდი, ზამბახი, რად არ ამშვენებდნენ ბუნების წალკოტს?

—ოჰ შესდეგ, მგზავრო, მონახე სადმე ვარდი! ვარდები დარგე ჩემ საფლავზე, ვარდები!.. მე სიყვარულს ვუმღერდი, მინდა საფლავშიაც ვიმღერო ჩონჩხების ქნარზე.

ვინ გააჟრანა ვარდ-ზამბახებით შემკული, ჩემი კუნძული?..

მგზავრს არ ესმის. უსაზღვრო გზას ისევ განაგრძობს, მხოლოდ ანაკრეონის საფლავიდან ამოძახილ სიტყვებს უდაბნო გულში იკრავს.

—ვარდები დარგეთ ჩემს საფლავზე, ვარდები.

**ტ. ტაბიძე.**

*) იადებით—ხნივებით, ცხუნებით.

# სამნი ძმანი

(ფრანგულით)

ეს სადღეისო, ჰაწია ზღაპარია, აწ მცხოვრებთათვის, რომელთაც ზღაპრები აღარ უყვართ, ან და ზღაპარი ესე თქმულ არს უფრო საკუთრად, იმ კაცთათვის, რომელნიც სისულელედ ჩასთვლიან ზღაპარი შობს.

მაშ რისთვის და არს მზობი ზღაპრისა ამისა?

თვით მზობისაა საიდუმლოება ესე;—მას ჰსურს რომ ზღაპარი თქმულ იქმნას.

და აი...

***

მას აქეთ, რაც ქვეყანა ესე ქვეყანად არს, სცხოვრობდა სამი ძმა, ერთად, განუყრელად; კულს არ იყვნენ ძმანი იგი მოხუცებულნი, რადგან უმცროსი მათგანი ნიადაგ ყრმა და ლაღი იყო.

განუყრელნი იყვნენ სამნივ ძმანი და ფატალურად ერთმანეთსა ემსგავსებოდნენ; ხოლო უმცროსი მათ შორის,—ნიადაგ ყრმა,—თავის უფროსს ძმებსაც აჭაბუკებდა.

ამისდა მიუხედავად, (ჰოი, შური ადამიანისაო!) ძმანი უფროსნი აყვედრიდენ ძმასა უმცროსსა ყრმობასა და ლაღობასა მისსა.

უმცროსი იგი, თავმან თქვენმან მართალი ვსთქვა, იყო ჩვილი და ნორჩი უფროს ძმებზე. არც რას სწავლობდა და არც რისიმე გაკეთება უნდოდა, ხოლო ძმებისა წინაშე თავსა იმართლებდა სიჩვილითა და სინორჩითა თვისითა.

გარნა ჟამსა მიჰქონდა სიყრმე იგი უმცროსისა, ხოლო ნიადაგ ყრმადა რჩებოდა. ლაღობდა ყრმა იგი, ხოლო ძმანი მისნი მუშაობდნენ მზის ამოსვლიდან, მზის ჩასვლამდე, მზისა ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე, რათა მიეწვდინათ საზრდო უმცროსისათვის.

უმცროსი კი ეტყოდა მათ; ვალდებულნი ხართ მასაზრდოვოთ მე, ვინაიდან ჩემი ყრმობა საფუძველია თქვენისა ყრმობისა.

და მართლაც, როდესაც უფროსნი უმცროსს უსაზრდოვოდა სტოვებდნენ, თვითონაც ცუდათა ხდებოდნენ და მოხუცებულებასა ჰგრძნობდნენ.

ერთხელ სცემეს კიდეცა მას, სიკვდილის კარამდე მიიყვანეს. ღრმა იყო მწუხარება მათი.

ამ წუხილსა მოხუცებულობაშიაც არ ასცდა მუშაობა მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, მზისა ჩასვლიდან მზისა ამოსვლამდე.

მას აქეთ, რაც ქვეყანა ესე ქვეყნად არს, ირჯება ორი უბედო მუშაკი.

უფროსი სთხრის მიწას, აფოლადებს რკინას, აგუნგუზებს ცეცხლსა, და ეს მას აქეთ, რაც ქვეყანა ესე ქვეყნად არს.

ხოლო მისი მომდევნო მუდმივ ფიქრობს: ხელებითა თვისითა უჭირავს თავი თვისი, ამოძრავებს გონებასა და თვალნი მისნი ღვივიან

# ფრენა ტფილისში

კვირას, 5 დეკემბერს, დიდუბის საჯირითო მოედანზე ფრენა გაიმართა. იფრინა თამამმა ავიატორმა ვასილიევმა, რომელიც აფრინდა ბლერიოსეულ საფრენით ნაშუადღევის 4 საათსა და 17 წამს, ორჯელ გარს შემოუარა მოედანს და 4 საათსა და 22½ წამზე ძირს ლაეშვა. პატარა ხნის შემდეგ ავიატორი კიდევ გაფრინდა და 3—4 წამი იფრინა.

მოედანზე როგორც ფასიანი, ისე უფასო მაყურებელი ცოტა იყო.

მეორე დღეს, 6 დეკემბერს უნდა ეფრინათ ვასილიევს და მის მანქანიკს—მფრინავს ლაფონს. მოედანზე ხალხი ნაკლებად შეიკრიბა, ამიტომ გადასწყდა, ფრენა ნაშუადღევის 4 საათზე დაეწყოთ.

ამ დროს გამოვიდა მფრინავი ლაფონი და ანრიოს ჩაფრენით ავჭალისკენ საფრინდა. თანდათან იგი მაღლა-მაღლა მიდიოდა, მაგრამ თვის წინ უცებ შენიშნა ტელეგრაფის ბოძი და ზედ რომ არ დასჯახებოდა, უცებ შეატრიალა მანქანა და აჩქარებად ძირს დაეშვა ისე ძლიერად, რომ საფრენი სულ დაიმსხვრა, ხოლო თვით უვნებელი დარჩა.

ამის გამო ვასილიევი აღარ გაფრენილა. საფრენის გაკეთებას 8—10 დღე დასჭირდება და დაიხარჯება ას თუმნამდე.

# პატარა ფელეტონი

## რედაქტორის წერილიდან

(ფ. ლ. დ'ორ.)

... ვიატკაში ჩასვეს.

სანამ ციხეში გაგზავნიდნენ, რედაქტორმა ჰკითხა:

— არ შეიძლება გკითხოთ რად?

ამ კითხვამ ცოტათი შეაშფოთა მოპასუხენი. ეტყობოდათ საპასუხოდ არ იყვნენ მომზადებულნი.

— თქვენ აუცილებლად გინდათ გაიგოთ?

— მსურდა. ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს რად სვამენ ციხეში.

— არ შეიძლება სამი დღის ვადა მოგვცეთ?

რედაქტორი დასთანხმდა. სამი დღის შემდეგ გამოუცხადეს მას ციხეში:

— აი, ამ წერილისთვის.

რედაქტორმა ხელების ჩაქნევით, ხმა-მაღლა წარმოსთქვა:

— ეს ხომ „როსსიიდან" გადმობეჭდილია!

დამპატიმრებლები ისევ შეშფოთდენ, მაგრამ უცბად გამოირკვნენ და მწყრალად უპასუხეს:

— განა შეგვეძლო ჩაგვესვა „როსსიის" რედაქტორი, რომელიც პეტერბურგში სცხოვრობს? იქაური რედაქტორები, თქვენზე ეშმაკები არიან და ჩვენთან არ მოდიან...

საჭიროა მომზადება...

***

... ხარკოვში ჩასვეს.

მიზეზი იყო... სიბირსკში რედაქტორის დაჭერა გაიგეს რა, რომ, სიბირსკში რედაქტორი ჩასვეს, ხარკოვის მმართველთა იუკადრისეს.

— ეს შეუძლებელია! — სთქვეს მმართველებმა—აღვილად ვერ მოვითმენთ, რომ რომელი-ღაც სიბირსკმა ხარკოვს აჯობოს.

ხარკოვში რამდენიმე გაზეთი გამოდის, რა თქმა უნდა იმდენივე რედაქტორია.

თავის თავად დადგა კითხვა: თუ რომელი მათგანი უნდა ჩასვან.

ჰყარეს კენჭი...

რედაქტორი ჩასვეს. მას დაჰპირდნენ რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ დააჯარიმებენ.

კიდევ ერთი რედაქტორი გამოაკლდა სამის თვით. ვემზადები. ვგრძნობ, არც მე ჩამივლის შორს ეს ხვედრი.

***

... ჩასვეს კიევში.

სწორე გითხრათ რედაქტორების დაჭერა ეპიდემიურ ხასიათს ღებულობს.

როგორც ხოლერით, ან შავიჭირით ავად გამხდართ ბილიუტენს, ისე ჰკითხულობ...

ყოველ-დღე ტელეგრამას მოაქვს ცნობა: ჩასვეს 5; დააჯარიმეს 7; გაანთავისუფლეს 1.

როგორც სჩანს გუბერნატორთა შორის ამ ნიადაგზე დიდი ქიშპობა ჰხდება.

— როგორ! ეკატერინოსლავში ჩასვეს და ჩემი რედაქტორი-კი თავისუფლად დასეირნობს! არ გავაბედვინებ, რომელი-ღაც ეკატერინოსლაველმა ცხვირი მოუგრიხოს უნივერსიტეტებიან ქალაქს.

და... თავისუფლად მოსეირნე რედაქტორს ეს ხეში სვამენ.

მე ვფიქრობ რომ, ყველა რედაქტორი ვალდებულია, წინდაწინ შეეჩვიოს ყოველ-გვარ უსიამოვნებას.

თუ შენ რედაქტორი ხარ, მოემზადე ციხისათვის.

ვსწავლობ კაკუნს.

***

... და ლუგანსკშიც ჩასვეს!

მე როგორც ვიცი ლუგანსკში გაზეთი არ გამოდის. მაშ სად იშოვეს რედაქტორი?

სავსებით მჯერა რომ ადგილობრივმა მმართველებმა სხვა ქალაქიდან გამოიწერეს და ჩასვეს.

განა შეიძლება სხვებს ჩამორჩნენ!

ან ევებ, ერთმა ერთგულმა მოხელეთაგანმა მმართველთა სიამოვნებისათვის, თავის თავს რედაქტორი უწოდა და ჩასვეს ციხეში.

განა ერთგული მოხელენი ცოტანი არიან რუსეთში?

ასეა თუ ისე, მე ვხედავ, ახლოვდება დღე...

მთელი ქალაქი საოცარის მოლოდინით შემომცქერის. შეხვედრის დროს მეკითხებიან:

— თქვენ როდის-ღა უნდა ჩაგსვან?

და როდესაც ვეუბნები, რომ, არც-კი ვემზადები ჩასაჯდომად, მათ არ სჯერათ და ეშმაკურად ჩაიცინებენ ხოლმე.

ნეტა როდის...

***

ჩასვეს მოსკოვში...

მე რად არ ჩამსვეს? ვერ გამიგია.

ამბობენ, რომ ჩვენი გუბერნატორი გაზეთებს არ ჰკითხულობს და არც არაფერი იცის ახალ მოვლენის—

რედაქტორთა დატუსაღებისა.

რა კარგი იქნებოდა, ყველა გუბერნატორები უსწავლელნი იყვნენ.

მე რომ დეპუტატი ვიყო, საყოველთაო სწავლის წინააღმდეგ მივცემდი ხმას.

განსაკუთრებით საგუბერნატორო პირთათვის სამაგალითო იქნებოდა მაშინ...

ყველა ნასწავლია, გუბერნატორების გარდა...

მაშინ რედაქტორები ბედნიერად იცხოვრებდნენ!

***

...ტეტიუშში ჩასვეს!?.

ინტელიგენცია ეჭვის თვალით მიყურებს.

მართლაც და ყველა პროვინციის რედაქტორები სხედან ციხეში და მე თავისუფლად დავდივარ.

თვითონ მე მებადება ჩემს თავზე ეჭვი... საოცარია.., მართლაც საოცარი!..

***

... ასრულდა!—მე დღეს მიმიპატიჟეს და გამომიცხადეს:

— ქისა ან თავისუფლება!

მე ამოვიღე ქისა! მაგრამ შიგ თორმეტი კაპეიკი აღმოჩნდა, ჩემგან კი 300 მანეთს ითხოვდნენ.

ჩავჯექ ჩემდა უნებურად...

დღემდე მიტომ არ ჩამსვეს, რომ ყველა კამერები რედაქტორებით ყოფილა სავსე.

— და როგორც კი ადგილი დაიცალა იმ წამსვე ჩამსვეს.

— ეს უბნის ზედამხედველმა ამიხსნა.

ჩვენში სცემენ კიდევ ერთ გაზეთს და ხვალ თავისუფლდება კიდევ ერთი ადგილი... კაკუნით გავესაუბრები ამხანაგ—რედაქტორს...

**ტღინკაძე.**

---

ცეცხლსა სიმძლავრითა, და ეს მას აქედ, რაც ქვეყანა ესე ქვეყანად არს.

და იყო დიადი მოხუცებულება, და მოქანცულობა უფროსისა ძმებისა.

მაგრამ დახეთ, ძალასა განგებისასა! ესე ყოველი ქარწყლდებოდა, ოდეს თვალთა-წინა ჰყავდათ,—ნიადაგ ყრმა, უმცროსი ძმა.

თვალნი მისნი უზიარებდნენ მათ დიადსა სიმხიარულესა და სიმხნესა; სიყრმითა მისითა თვით ყრმად იქნებოდნენ და მასაც კი ემსგავსებოდნენ, ვინაიდან ძმანი ესე იყვნენ გაწყრელნი, ღვიძლნი ძმანი.

და მას აქედ, რაც ქვეყანა ესე ქვეყნად არს, მუშაობს ორი უბედო მუშაკი და ლაღობს ყრმა იგი.

ყრმაი იგი თავის ათის თითით წალკოტზე ჰკრეფს ლამაზ ყვავილებს მშვენიერ თაიგულებად სწნავს, ლერწამსა სჭრის, ჰქმნის სალამურად, უკრავს ციურ ჰანგებსა; ჰზელავს თიხას, აქანდაკებს და სულსა უდგავს მიწასა უსულოსა.

გონებითა თვისითა ჭაბუკი იგი ჰქმნის ფიქრებსა, გაზაფხულისა პეპელასავით ნაზსა და სათუთს, ფიქრებსაც ფრთებსა ასხავს. სტკბება თითონ და ატკბობს თვისსა ძმებსაცა. იმღერის იგი და სიმღერითა, ქარისმებრ თავისუფალით, ამხნევებს მარად მომუშავე ძმებსა, შავსა ფიქრებსა აშორებს. გულს საიმედო ოცნებით უვსებს, კეთილშობილურ გრძნობებს ულვიძებს.

— ინუგეშე!—ეტყვის იგი ძმასა უფროსსა ოფლისა წვეთნი შენისა შუბლიდან მოწურულნი, დედამიწასა დაეცემიან და თვითვე ჰპოებ მათ, თვალ-მარგალიტებად გარდაქმნილს.

— იფიქრე და ამოძრავე გონებაი შენი!—ეტყვის იგი ძმასა მეორესა, სინათლე აზრისა შენისა უკვე ჰკრთის და სწყვეტს ღრუბლებსა წყვდიადს; იგი სინათლე, მოეფინება დედამიწას, ვითა მზისა სხივნი ცისკრისა ჟამს ცისა კამარას.

— დიდება თქვენდა!—ესმით ძმებს ხმა ჭაბუკისა,—მალე შეიქმნებით ბატონნი ამა ქვეყნისა. მდიდარსა ტახტსა ზედა დამკვიდრდებით, ვითა ტრიომფატორნი, და აპოთეოზსა თქვენსა ვადიდებ ჩანგითა ჩემითა!

მუშაობენ მუშაკნი მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე და მზის ჩასვლიდან, მზის ამოსვლამდე.

და ლაღობს ჭაბუკი იგი.

ყოველივე ეს იმ დრომდე იქმნება, ვიდრე ქვეყანა ესე ქვეყნად არს.

***

აქა დასრულდა ზღაპარი ესე და თუ კაცნი კულავისა ვერ იგემებენ ზღაპარსა ამას, მით უკეთესი ღრმად მოხუცთა, მოქანცულთა და მწუხარეთათვის.

**კონსტან-ანდრონი.**

---

## საიუბილეო სალიტერატურო დილა

(გამართულ ავლაბრის თეატრში, 25 წ. შესრულების გამო პირველ ქართულ საეკლესიო სკოლის დაარსებიდან).

კვირას, 5 დეკემბერს, დილით რომ ავლაბრისაკენ მივემგზავრებოდით მოწაფეთა სალიტერატურო დილაზე დასასწრებლად, წინდაწინვე ის აზრი გვახალისებდა, რომ პაწაწა, სიცოცხლით სავსე მოსწავლეთა შორის ესტეტიურად დავტკბებოდით, რასაც ირწმუნებოდა წმ. მარინის ეკკლ. სამზრუნველო კომიტეტის—მიერ მისაწვევ ბარათებთან დაგზავნილი ერთ-ადლიანი პროგრამა.

თეატრი გაჭედილი იყო მოპატიჟებულ სტუმრებით, რომელთა უმრავლესობას ისეთი პირნი შეადგენდნენ რომელთაც, ასე თუ ისე, დამოკიდებულება აქვს საეკლესიო სკოლებთან.

საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ თეატრში უფრო „გრილოდა", ვიდრე ქუჩაში და იმის და მიუხედავად, რომ ზოგს თითქმის საბნებიც კი წამოესხათ „დილის" გათავებამდე მაინც ბევრი წავიდა:—„სიცოცხლე ჯერ არ დამიზღვევიაო"—ხუმრობდა ზოგი მათგანი და ზოგი კიდევ უმატებდა: „ეტყობა ცხელ ორთქლის მაგიერ, ახალ საშუალებით, — ცივი წყლით—გაუხურებიათო". დილა კი რომ გათავდა და ხალხი იშლებოდა, ესე ნაშუადღევის ოთხ საათზედ, თეატრში ფეჩები მაშინ დააგუგუნეს. ესრეთი ორიგინალური განკარგულება რომ ბევრმა იუცხოვა, იმითი „დაამშვიდეს", რომ საღამოთი სომხური წარმოდგენააო...

ფარდის ახდისას, საეკლესიო სკოლების ზედამხედველმა, ცნობილმა გ. ოდოევმა, თავისებური ქება უძღვნა სკოლას და მისს სამზრუნველოს. მან, სხვათა შორის, დასძინა, რომ როგორც ცივ ზამთარში გატიტვლებულ, ფოთლებ დაცვივნულ ხეზე, ვშენის და თვალს იტაცებს მწვანეთ მოხასხასე ფითრი, ეს წმ. მარინეს სკოლაც, განვლილ უსიამოვნო წლებში ასე გამოირჩეოდა სხვა სკოლებიდგანაო...

როგორც მკითხველმაც უწყის, გ. ოდოევის მიერ მოხსენებული ფითრი მუქთა ხორა ჯგუფს ეკუთვნის და ოდნავ გაგებული მებაღე ერთი წუთითაც არ შეარჩენს ხოლმე ფითრს, როცა იგი ხეხილზე ჩნდება, რომლის მასაზრდოებელ წვენითაც იკვებება და ბოლოს და ბოლოს ახმობს კიდევაც ხეს. რად დასჭირდა ორატორს ასეთი შედარება ვერ გავიგეთ.

გ. ოდოევის სიტყვის შემდეგ შეგირდებისაგან შემდგარმა გუნდმა შეასრულა ჰიმნი.

პირველ განყოფილებაში, სკოლის მოსწავლეთაგან წარმოდგენილ იქმნა საბავშო, ორ-მოქმედებიანი სცენები სოფლის ცხოვრებიდან „ობოლი"—გ. ახალციხელისა. ღვთის წინაშე, პიესაში მონაწილე ბავშვებმა ზეპირად იცოდნენ თავიანთი როლები, რაზედაც, რა თქმა უნდა, დიდი შრომა და დრო იყო დახარჯული, მაგრამ მათ ხელმძღვანელთ უნდა სცოდნოდათ, რომ როლების გაზეპირების გარდა, სხვა რამეც იყო საჭირო. არამც თუ ისეთ ნაცოდვილარს, როგორიც არის „ობოლი", არამედ დიდებულ შემოქმედებით ნაწარმოებსაც ყოველივე შნო და ღირსება ეკარგება, თუ მისს გადმოცემის დროს არ ჩაექსოვა შესაფერი გრძნობა და მოთამაშეთა გარეგან მიხვრა მოხვრითაც არ გამოისახა სიტყვებით განმარტებული აზრი. ამას გარდა, სად გაგონილა მაგ. რომ ერთის შეკითხვაზე დანარჩენ ექვს მონაწილეთ ერთის ხმით და ერთსავე და იგივე წინადადებით (хоромъ) უპასუხონ. სკოლა სხვაა, თეატრი სხვა. ეგრეთვე პიესის შემოკლება შეიძლებოდა, მაგრამ არა ასე ულაზათოდ გადაკეთება: რა საჭიროება მოითხოვდა მაგ. ორი მოხუცებულის როლში ბალღების გამოყვანა შეუფერებელ გრიმებში. კულისებიდგან მეცხვარეთა სიმღერის მაგიერ მოისმოდა გოგონების გაწრიაკებული მღერა. არც ცოცხალი საბავშო სცენები და არც სიმღერები არ იყო რიგიანად მოწყობილი. ობოლი გოგონა რომ თვის უმწეო, დაბეჩავებულ ყოფაზე მოსთქვამს, ამავე დროს პირზე ღიმი უკრთოდა და სხ.

დალოცვილებს ერთი უბრალო სცენის მოყვარეც რომ მოეწვიათ ხელმძღვანელად, ეს პიესა „ობოლი" ისეთივე ჯეროვან შთაბეჭდილებას მოახდენდა, როგორც მოახდინა მან შარშან „პიათუროში" დადგმის დროს (რაც თავის დროზე გაზ. „დროებაში" იყო აღნიშნული). ესევე ითქმის მშვენიერ, ერთ მოქმედებიან ბ. თუმარაშვილის მხიარულ სცენაზე „სასამართლოზე" რომელიც მეოთხე განყოფილებაში, უგემურად ითამაშეს.

საკონცერტო განყოფილებას, მოსწავლეთა ხოროსაგან შესდგებოდა გ. ჩარკვიანი უწევდა ლოტბარობას, მაინც და მაინც არა უშავდა რა. შესრულებულ სიმღერებ შორის ყურადღების ღირსი იყო „ცანგალა და გოგონა": პაწია მოლეკურეთა მოხდენილ ცეკვას შეჰნატრებდა ბევრი უხეირო მოცეკვავე დიდ ქართულ თეატრისაც.

მეოთხე განყოფილების დაწყებამ კიდევ ერთი-მეორისაში საქები სიტყვაც იქმნა წარმოთქმული. ჩვენ არ მოველოდით, რომ ბ. თ. ნასიძე საზღვარს არ დაუდებდა თვის ხოტბას, მიმართულ ბ. ოდოევისადმი... მანვე სხვათა შორის უსაყვედურა ავლაბრელ მშობლებს: აქ (თეატრში), ასე მოგიყრიათ თავი და ეკკლესიაში კი არ დაიარებითო...

ჯეროვან ყურადღებას იქცევდა ფოიეში გამოფენილი, პატარა მოსწავლეთაგან დამზადებული, ხელსაქმენი (ნაკერი, ნაქსოვი, ნაქარგი და სხ.) რასაც დამსწრენი ხალისით ყიდულობდნენ. როგორც გადმოგვცეს, სასულიერო მთავრობას, ამდენ ხნის განმავლობაში (25 წ.), არაფერი სახსარი არ გაუღია ამ საჭირო და სასარგებლო საქმისათვის, რომელიც ამ ბოლო დროს მოწყობილა სკოლის სამზრუნველო კომიტეტის მეცადინეობით; მათ შორის განსაკუთრებულ მადლობით იხსენიებენ ბ. ბ. თ. ნასიძეს, კვირიკელი—კოპაძეს, ტუშიშვილს და ს. ი. ფორაქიშვილს; უკანასკნელი ორმე თვის ხარჯით იტუმრებს ხელ-საქმის მასწავლებლის ჯამაგირს.

**გ. ა—ციხელი.**

---

# მოწერილი ამბები

**ქ სიღნაღი.** კვირას, 28 ნოემბერს, სიღნაღის საზოგადოების საკრებულოში, ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან ექიმ დ. ფაღლენიშვილის მეთაურობით, გამართულ იქმნა ქართულ რუსული წარმოდგენა, კონცერტული განყოფილებით.

წარმოდგენის დაწყებამდე, თავადმა ახო გაჩნაძემ საზოგადოებას მოახსენა დევ ლოლსტოის გარდაცვალება და სთხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ. უველა, ფეხზე ადგა. პირველად ითამაშეს რუსული ერთმოქმედებიანი გოდევილი ა. ჩეხოვისა „იუბილეი". ეს გოდევილი ძლიერ კარგად ჩაატარეს. მშვენიერი იყო „შიპუჩინი", რომლის როლსაც ასრულებდა ბ-ნი სულიევი, კარგები იყვნენ აგრეთვე უველა დანარჩენი მოთამაშეები. შემდეგ ითამაშეს ქართულად გ. გუნიას ერთმოქმედებიანი გოდევილი „ადვოკატთან". ეს გოდევილი რიგიანად ვერ ჩაატარეს. არა უშავდათ რა ქალ. ნ. ჩოლოყაშვილს და გომელაურს, ანჩხლაძის, ხოლო მეორე—ონიფრეს როლში. დასასრულ, ადგილობრივ მასწავლებელთაგან შედგენილმა ხორომ იმღერა რამდენიმე ქართული სიმღერა. კარგად იმღერეს „მგზავრი", რომელიც საზოგადოების თხოვნით რამდენჯერმე განიმეორეს. საკრებულოს დარბაზი სავსე იყო, რაიც ძლიერ სასიამოვნოდ დაგვრჩა. რადგანაც ერთი-ორი გროში მაინც შეემატება ქ. მ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომლის სასარგებლოდაც გამართეს წარმოდგენა. დიდი მადლობის ღირსია ამ საღამოს მომწყობი ბ-ნი ფაღლენიშვილი.

**შემთხვევით დამსწრე.**

---

**გურია.** ს. სურებში, ასკანაში და ამაღლებაში მთავრობის მამასახლისებად თათრები ჩაუყენეს. ჩაფრებადაც თათრებია. თუმცა ამაღლებაში ეს ერთი თვეა თითქმის ქუთაისელი მაგგუნაძე იყო, მაგრამ რაღაც მიზეზებისა გამო ის გამოცვალეს.

— ამ ჟამად ზემო გურიაში დარჩენილ გადასახადებს ჰკრეფენ. ხელმოკლე ხალხი იძულებულია სიმწარის ოფლით მონაგარი სიმინდი შიდ მაურად პოჭვილის რამდენიმე ჩარჩს. სულ კი იძულებული გახდება თხის ანაზი და მანეთი პისტეს ფუთში. მდგომარეობა კალმით აუწერელია.

— ჩვენი სასოფლო გზები მეტად გაფუჭებულია, მაგრამ ყურის მგდებელი არავინა ჰყავს.

— ამ დღეებში ჩოხატაურის ბოქაულმა უველა ჩოხატაურის რაიონის მღვდლები დაიბარა და დაავალა, ხალხს ჩააგონეთ, რომ რუსეთ იაპონიის ომის დროს დახოცილ მეომართა ოჯახობის დასახმარებლად შემოწირულება კამართონო.

— ს. ბუკნარში (ბასილეთის საზოგადოებაში), ამ ერთი თვის წინად სასოფლო სკოლა გაიხსნა. მოწაფეები სამოცამდეა. შენობა თითონ საზოგადოებამ ააგო, მასწავლებლად დირექციამ თავის ჯამაგირით ბ-ნი კ. ნინიძე დანიშნა.

— ს. ნიგომარში ამ დღეებში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა მამა ნაკაშიძის ხე ტეის ქარხნის მუშა (ნატანებში აქვს) ამბავი მიღებულია.

განსვენებული მეგობეული და ზედმიწევნით კეთილი და პატიოსანი ადამიანი იყო. უოველგვარ წინამსვლელობის საქმეში მონაწილეობას იღებდა. მის დასაფლავებას დიძალი ხალხი დაესწრო, სხვათა შორის, ორი გვირგვინით კუბო შეუმკეს ამხანაგებმა. სიტყვები ითქვა. განსვენებულს წრეღი ცოლშვილი დარჩა. სამი სასწავლებელში სწავლობს.

— გურიაში ამ ჟამად მშვენიერი მზიანი დღეებია. აჭარა-გურიის მთების ჩამოთოვის შემდეგ, დამ-დამობით საგმაოდ ჰყინავს.

**ა.**

---

**სოფ. სიმონეთი** (ქუთ. მაზრა). დღემდის დიდ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა ჩვენი საზოგადოება. არ მოგვეძეოდა არც ერთი კულტურული დაწესებულება, მაგრამ თითქმის ხუთი დღე იქნება, რაც ქ-ნი ეფროსინე კლდიაშვილის და დავით კლდიაშვილის შემწეობით სამკითხველოს გვეღირსეთ... 21 ნოემბერს, ჩვენმა საზოგადოებამ დაადგინა, სიმონეთის საზოგადოებაში ორ-ორი კლასიანი სასწავლებელი გაიხსნას. ერთი ზედა სიმონეთში და მეორე—ქვედაში. ამ საქმისათვის კომისია აირჩიეს და განაჩენი მთავრობას წარუდგინეს დასამტკიცებლად, იმედია, ეს არჩეული პირები ხალხის მონდობილებას დროზე მოიყვანენ სისრულეში.

**მ. გ.**

---

**ლეჩხუმი** სვანეთითურთ ერთს მაზრას შეადგენს. ადგილის მდებარეობით ლეჩხუმი მთა-ტყიან ულამაზო სურათს წარმოგვიდგენს. ადგილობრივი მცხოვრებნი უმეტეს ნაწილად ხვნა-თესვას, მეურნეობასა და საქონლის მოშენებას მისდევენ. წელს ჭირნახული საკმაოდ მოვიდა და გასული წლის უმოსავლობით შეწუხებული გლეხები ძრიელ გაამხნევა.

აქ მეტად სადი ჰავაა და ქიმები ზაფხულობით ბევრს ავადმყოფსა ჰგზავნიან ლეჩხუმის მაზრის ზოგიერთ ადგილებში საკუთრებით დ. ლაილაში. ზაფხული აქ გრილი იცის, ზამთარი კი დიდი და ცივი. ლეჩხუმის უოველ საზოგადოებაში გახსნილია სამინისტრო და საეკლესიო შკოლები.

ლეჩხუმში სიწყნარე და მშვიდობიანობაა.

ლეჩხუმის მაზრის უფროსმა, პოდკოვნიკმა ენკელმა მთელს არსებულ შკოლებს ულასიოდ დაურიგა მშვენივრად დაკაზმული სახარება, სამოციქულო და ფსალმუნის წიგნები.

**დეკ. ნ. ფრუიძე.**

---

**ქუთაისი.** 3 დეკემბერს, პარასკევს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის გამგეობის მიერ არჩეულმა კომისიამ ბ-ნ ი. ფანცხავას თანა-დასწრებით დაათვალიერა ქ. წიგნ-საცავ-სამკითხველო; რომლის შემდეგ შეუგპირდნენ: შენობის გადიდებას, წიგნების მომატებას, ელექტრონით გაშუქობისების, ჯამაგირების მომატებით და სხვა. თუმცადა ასეთი კომისიები ბევრჯერ ყოფილა არჩეული გამგეობის მიერ და დათვალიერებითაც ბევრჯერ დაუთვალიერებიათ, მაგრამ საქმით კი დღემდე არაფერი გაკეთებულა. ეხლა კი იმედი უნდა გვქონიოთ, რომ დანაპირებს სისრულეში მოიყვანენ, რადგან სათავეში პატივცემული ბ-ნი ი. ფანცხავა უდგას. რომ ბ-ნი ი. ფანცხავა ბიბლიოთეკის საკითხებს ყურადღებით არ დასტოვებს ამაში დარწმუნებულიც უნდა ვიყოთ, რადგან ამას—თვით მისივე საზოგადოებრივი მოღვაწეობა საკმაოთ უკარნახებს. ვნახოთ, მომავალი რამდენად გაამართლებს ჩვენს იმედს.

**პრ—ფი.**

---

**ბაღდათი.** ქუთაისის მაზრა. 2 დეკემბერს, როგორც იყო შესდგა მეორედ დანიშნული ბაღდათის სამკითხველოს წლიური კრება, დაესწრო 23 ქალი და კაცი, თუმცა წევრთა რიცხვი 85-მდის აღის. უმეტესი ნაწილი დამსწრეთა იყო მოსული ხალხი, ინტელიგენცია, რომელთაც უჭირავს ადგილი სხვა და სხვა ადგილობრივ დაწესებულებაში; ადგილობრივ მკვიდრთა უმრავლესობა კი არსად სჩანს, ალბად „სიბერის დუქანშა" ნუნუას შექეიფნენ.

შესაძლებელი სამკითხველოს დიდხანს ვერ იბოგინოს. ჯერ-ჯერობით კი, როგორც სჩანს სამკითხველოს წიგნებიდგან (გამგეობას ანგარიში არ წარმოუდგენია წესიერად შედგენილი) მცირე შემოსავლის მცირე გასავალი დაუფარავს, შემოსავლის გადიდებისთვის ცოტა ხელი შეუწყვია სახალხო სეირნობას, რომელიც 25 მარიამობისთვეს კოდა ფურცელაძის ეზოში ბ.ბ. ეკატერინე და მიხეილ დიდიძემ გამართეს. ამ სეირნობამ 34 მან. 30 კაპ. წმინდა შემოსავალი მისცა სამკითხველოს. ამ კრებაზედვე გამოირკვა, რომ გამგეობას სხვა დონე არავერი უხმარია სამკითხველოს შემოსავლის გასადიდებლად, გარდა საწევრო ფულების აკრებისა. ძველი გამგეობის წევრებს სამი ახალი წევრიც მიუმატეს. იმედია, ეხლა მაინც რიგიანად წაიყვანეს სამკითხველოს საქმეს. დიდი ხანი არაა, რაც ბაღდათში მთავრობის თანხმობით სასამღვთოთ დაარსდა, რომელიც ამას წინად, საკუთარი შენობის უქონლობის გამო კინაღამ გადაიტანეს. მაგრამ აღმშენებელი კომიტეტი ამ ბოლო დროს გამოცოცხლდა და საქმე უკეთ წაიყვანა, შენობის ხარჯი 9000 მან. ხუთმა სოფლის საზოგადოებამ იკისრა: ბაღდათისა, დიმისა, სკვითისა, ზეკრისა და ვიკნაველთისამ. ამ ჟამად პირობის წერილი მოიჯარადრესთან უკვე დასდეს. ჩვენ იმედი გვაქვს, ახლად დანიშნულ მაზრის უფროსი, ბ. კორდანოვი რომელიც სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული, საქმეს ძლიერ შეუწყობს ხელს.

**თ. ჭყონდიდელი**

## ბიბლიოგრაფია

**მიჯაჭვული პრომეთე** ესქილისა, **ედიპე მეფე** სოფოკლესი, **მედეა** ევრიპიდესი. თარგმანი პეტრე მირიანიშვილისა. ტფილისი, 1910. ფასი ათიშაური.

ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა, მდიდარი ორიგინალურ ნაწარმოებით, მეტად ღარიბია თარგმანებით. ეს გარემოება, სხვა მიზეზთა შორის, ხელს უწყობს ქართველ ინტელიგენციის გადაგვარებას. მსოფლიო ლიტერატურულ ნაწარმოებთა გაცნობას მოწყურებული ახალგაზრდობა ძალა-უნებურად ეტანება უცხო ენას, რაკი მშობლიურზე გადმოღებულს ვერა ჰპოვებს უცხო გენიის ქმნილებათ. არ ვიტყვი, ქართულად სულ არაფერი ითარგმნებოდეს, მაგრამ ყურადღებას აქცევენ უფრო წვრილმანებს მესამე-მეოთხე ხარისხოვან მწერლებს ხოლო გენიოსები ხელ-უხლებელნი რჩებიან. ჩვენი სტუდენტობა ცოტას არა სთარგმნის, მაგრამ რას! გადაათვალიერეთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, ან რედაქციების დაუბეჭდავი მასალები, თუ მანდ ყველაფერი არ იპოვოთ, გარდა კლასიკურ ნაწარმოებთა. ამის მიზეზი ბევრია: ნაკლები ესთეტიური განვითარება და გემოვნების დამახინჯება ყალბად გაგებული სიახლე — ესრედ წოდებული „ცოცხალი თანამედროვება“, თვიურ ჟურნალებისა და გამომცემელ ფირმათა უქონლობა და სხვ.

მით უფრო სასიამოვნოა, რომ ამ ბოლოს დროს ერთი ადამიანი საქმის ცოდნითა და სიყვარულით ჰკიდებს ხელს ამ უმადურ სამუშაოს,—სთარგმნის ქართულს ენაზე ისეთ კლასიკურ ნაწარმოებთ, როგორიცაა მაგალითად „ფაუსტი“ გოეტესი, ან „ყურანი“ მაჰმადისა. და მათ გამოცემას თავის მცირე ქონებრივ სახსარსაც ალევს. მე მოგახსენებთ ბ-ნ პეტრე მირიანიშვილზე, რომლის ახალ თარგმანის სათაური ზევით ამოვსწერე. ამ წიგნში მოთავსებულია სამი დიდებული ქმნილება კლასიკურ გენიისა. ადამიანთა კეთილ-დღეობისათვის დატანჯული გმირი პრომეთეოსი, გარდუვალ ბედისწერის მსხვერპლი ედიპა მეფე და გრძნეული ასული კოლხიდისა მედია!—ამ სამს უკვდავ ტიპს რამდენ პოეტის ფანტაზია აუმოძრავებია, მაგრამ არც ერთი არ შეედრება ბუმბერაზულ სულისკვეთების გამოთქმასა და უზენაეს სურათების დახატვაში ელლინურ ოქროს ხანის შემოქმედთ: ესქილესა, სოფოკლესა და ევრიპიდესა. მათის ენით თვით ანტიკური ღმერთები ლაპარაკობენ. და ამ ღმერთების ენა ჩვენმა მთარგმნელმა გასაგები ჰყო ქართველ მკითხველებისათვის.

სასტიკი და უწყალოა ძევსი, მაგრამ მედგარია გმირიც. მოვისმინოთ ერთი პრომეთეოსის პასუხი ჰერმესისადმი:

რა სიამაყე
გიჩანს სიტყვაში,
სწორედ ისეთი
როგორიც ჰფეროზს
ღმერთების ყმასა...
თქვენ მეფობთ ახლად,
ახალ მეფემა,
თანვე გგონიათ
ცის მკვიდრნი თითქო
ვეღარ იგრძნობდეთ
მწუხარებასა.
განა ჩემ'ობას
არ გადმობრძანდა
ორი ხელმწიფე
იქიდგან? კიდევ
ვხედავ მომავალ
და სათაკილო ჩამოგდებასა
მის მესამისას,
ეხლა რომ მეფობს...
როგორ გგონია,
ვგევარ რითიმე
ახალ ღმერთების
წინ მოცახცახეს
და მთრთოლვარესა?—
არა, შორსა ვარ.
ძალგიძს წაბრძანდე...
.... გჯეროდეს, დიახ,
ჩემს უბედობას
მე ვერ გაგიცვლი
მონობის ხელში.

(გვ. 45)

ეს სიტყვები თანამედროვე ტანჯულ კაცობრიობის გულის პასუხია. ჩვეულებრივ ადამიანებს მაინც სჯერათ უზენაესი, ღვთიური განგება, მისგან მოელიან საბედისწერო ამოცანის ახსნას:

ღმერთების სიტყვავ,
ოქროდ მდიდარის
პითიას ტაძრით
ტკბილ მგალობელო.
აქ მოფრენილო,
ამ ჩვენ საუფლო
ციხე-ქალაქსა...
ჰე სასოების
ოქროვანო ძევ,
გამაგებინე
ღმერთების სიტყვა
ამბროზიანი!

(გვ. 59)

ხოლო ეს სიტყვა, ნექტარით შეზავებული, ისეთ საშინელ საიდუმლოებას ჰხდის ფარდას, რომ ადამიანი შეძრწუნდება. მაინც ედიპეს უნდა, ყველაფერი იცოდეს, თუმცა ეს ცოდნა, საიდუმლოს გამჟღავნება მისი დამღუპავი ხდება.

ადამიანის ტანჯვის მოსპობა არ ძალუძს თვით ხელოვნებას, რომლის მოწოდებაცაა ეს.

... მას ემართება,
ვინც მელექსეებს
ეტყვის მხილებად,
რომ მათ აკლიათ
ჭკუაც, სიბრძნეცა:
სუფრულ სალხინო
ლექსები უთქვამთ,
მხოლოდ დასტრფიან
შვება-ლხენასა,
ვერც ერთს კი მათში
თვისის ქნარის ხმით
ვერ გაუქრია
ტანჯვა კაცისა,
ტანჯვა სიკვდილის
აოხრებასა.
კაცთა კურნება
ამ სენისაგან
ლექსის დიდ ღვაწლად
დაიდებოდა.

(გვ. 127)

მოყვანილი ნიმუშებიც ცხად ჰყოფს, თუ რა გასაგები და ნამდვილი ქართული ენა ახასიათებს ამ კლასიკურ ქმნილებათა თარგმანს, რომელიც, რაც შეიძლება, დედანს უახლოვდება.

მხოლოდ არ შეგვიძლიან, ზოგიერთი ნაკლიც არ აღვნიშნოთ.

ჯერ ლექსთ წყობა, „მიჯაჭვული პრომეთე“ და „მედია“, რამდენადაც გვახსოვს, პირველად მოთავსებული იყო ჟურნალ „მოამბეში“, ათ-მარცვლოვანის ლექსით ნათარგმნი, რომელიც ზომით, უფრო შესაფერია ბერძნულ ჰეკზამეტრის გადმოსაღებად. ახლა-კი მთარგმნელ ეს ლექსი ხუთ-მარცვლოვანად გაუყვია და ორ სვეტად დაუწყვია; ზოგ მონოლოგს ხან და ხან ოთხი და ხუთი სვეტი უჭირავს, რაიცა ჰღლის მკითხველს. ხუთ-მარცვლოვანი ლექსი სრულებით არ უხდება ჰეკზამეტრს. ეს კიდევ არაფერი. ხუთ-მარცვლოვანი ლექსთწყობა (ისიც მთელ დრამაში) იმდენად ძნელია, რომ სიტყვების ხშირ შეკვეცასა და ზოგჯერ პირდაპირ უსწორობას ვერ ასცდენია ქართულის ისეთი მცოდნე, როგორიცაა პეტრე მირიანაშვილია. მაგალითად სწერია „ახალ მეფენო“, „მწარ გასაჭირი“ (გვ. 17), „ტყვილ მეგეფერო“, „ერთად ერთ ღმერთი,“ „რა საწყალი იყო ხალხი და რა ბრძენ, ჭკვიერ გონიერ“ (გვ. 24), „ბედშავ პრომეთევ“ (გვ. 30), „შიშ თუ იმედი“ (გვ. ან), „მერმე იგ მეფის გომურში, ხოლომე ჩემ ფარეხში“ (გვ. 102), „ვეღარ მიგობრებს“ (გვ. 142) და მრავალი სხვა. სამაგიეროდ ზოგი სიტყვა მეტად გაგრძელებულია, მაგალ, „ცეცხლისაებრი“ (გვ. 21), „ტირეზიაი“ (გვ. 76), „საუკუნოდ (გვ. 117) და სხვ. ექვსის სტრიქონის ბოლოში ხშირად ნახევარია კავშირი „და,“ რასაც ლექსი ვერ იგუებს. ლექსისათვის მთარგმნელი სიტყვებსაც ჰყოფს და ორ სტრიქონში ათავსებს, მაგ. ზოგგან „მეთქი“ მეორე სტრიქონშია მოქცეული.

მთარგმნელი ხან სწერს „დიდის მარცხისაგან“, „ჰაგარის ჯაჭვით“, ხან კიდევ „რუსული ტექსტისაგან“ (წინასიტყვაობა) „მნათი მზის“, „ცალი ხელისა“ „შენი ტანჯვისა“. აქ შეთანხმების გრამატიკული ერთიანობაა დაცული: ადამიანის ეპიტეტად ნახმარია ხან „მომაკვდავი“ (გვ. 36), ხან „სიკვდილიშვილი“. ეს უკანასკნელი ტერმინი კარგია, მაგრამ ჩვენს ენაში არსებობს უფრო მოკლე და მკაფიო სიტყვა, ნ. ბარათაშვილის მიერ ნახმარი,—„მოკვდავი, რომელსაც ერთ ადგილას ბ. მირიანიშვილიც ხმარობს (გვ. 105). დევებისა, გველეშაპებისა და სხვა მსგავსთა საერთო სახელად მთარგმნელი ხმარობს ხან „ურჩხებს“, ხან კიდევ „ურჩხულებს: ხელოვნების მფარველი ღმერთი აპოლონი უმეტეს ნაწილად „ფეფეს“ სახელითა მოხსენებული. ეს უკანასკნელი სიტყვა რომაულია და ბერძნულ ნაწარმოებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. საზოგადოდ უცხო სახელების ხმარებაში ერთიანობის ტენდენცია ეტყობა მთარგმნელს, რაიცა მისი ღირსებაა, მაგრამ ყველაფერში ვერ დავეთანხმებით. ჩვენსა და სხვა ენებშიაც შემოღებულია „მუზა“ და მასი „მუსად“ გადანათვლა თათრულ სიტყვას მოგვაგონებს და გაუგებარი ჰხდება. ბევრი ვიმტვრიე თავი იმის გასაგებად, თუ ვინ იყო ეს მედეიას პაპა „ელიოზი“, ვიდრე არ შევუდარე დედანსა და უცხო თარგმანებს. აღმოჩნდა იგი აეტესის მამა „ჰელიოსი“, ე. ი. მზე. რა დაემართება სიტყვების ასეთ გადმოქართულობით მკითხველს, რომელიც ნაკლებად იცნობს ანტიკურ მითოლოგიას? ბ. მირიანიშვილი წინად „ულუმპოსა“ ხმარობდა ახლა-კი სწერს „ოლიმპოს“.

რასაკვირველია, ვერც სტილისა და ვერც ენის მხრივ ბ-ნ პეტრე მირიანიშვილს ავტორიტეტად ვერ ვაღიარებთ. ხშირად „რომ“-ის გამოტოვება ისეთ წინადადებაშიც, სადაც იგი აუცილებლად საჭიროა, სტილს ვერაფერსა ჰმატებს, პირიქით აბნელებს. ხოლო „ჰ“-ს ხმარება „ს“-თან ერთად ზმნებში (მაგ. „მიჰსჭედე“ და სხვ.) ენას მეტად ამძიმებს,—ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე, მართალია, შოთა რუსთაველი ორსავე ფორმას ხმარობდა, მაგრამ მხოლოდ რითმისათვის, და რა საჭიროა თეთრს ლექსში ამ ფორმათა არევა? რაც რითმიან ლექსს მიეტევება „ლიცენცია პოეტიკის“ სახით, არ მიეტევება ურითმო თეთრს ლექსს, რომელიც მარტოდენ ზომით განსხვავდება პროზისაგან.

თვით პროზაშიაც სჩანს ბ-ნ მირიანიშვილის ნაკლი. აქვე ამოვწერ მის მოკლე წინასიტყვაობას:

„ამ წიგნში მოქცეული ჰელლენთა გენიის სამი გა(ნ)თქმული დრამატიული ნაწარმოები, სახელდობრ მიჯაჭ(ვ)ული პრომეთეს ესქილისა, ედიპე-მეფე სოფოკლესი და მედია ევრიპიდესი (,) უმთავრესად გადმოვიღე დ. ს. მერეჟკოვსკის (მიერ) ნათარგმნი რუსული ტექსტისაგან ვიხელმძღვანელე აგრეთვე ბერძნული დედანი (თუ დედნით? ეს დედანი ხელმძღვანელია თუ სახელმძღვანელო?), საჭიროდ დაწვრილებით განმარტებული. ჟვანის ნული გამოცემა დავისაჭიროე იმ კაზრისით, (რომ) ზოგიერთა ბერძნული სიტყვის სიქცევა და სახელსართთი დაახლოვებით მეთარგმნა“.

ასეთია პროზა ბ-ნ მირიანიშვილისა. მას ახასიათებს არა ზედმიწევნით ცოდნა ენის ბუნებისა, არამედ ამ ცოდნისაკენ მისწრაფება და შრომის სიყვარული მან რამდენიმედ აიცილა რუსიციზმი და ბარბარიზმი. შედარებით იგი სჯობია ყველა აქამდის მოვლენილ ქართველ მთარგმნელებს. სათარგმნელ ნაწარმოებთაც დიდის უნარითა და გემოვნებით არჩევს. მხოლოდ უკეთესი იქნება შემდეგ მაინც პროზით გადათარგმნოს. ლექსებს თავისი ლარი და ხაზი აქვს და ლექსად მთარგმნელიც პოეტი უნდა იყოს.

პროზით თარგმნის დროს საქმე უფრო გაუადვილდება და ზემოდ აღნიშნულ ნაკლსაც თავიდან აიცილებს. ჩვენ გავიგეთ, რომ იგი ამ ჟამად ჰომეროსის უკვდავ ქმნილებათა თარგმანის გამოცემას აპირებს. სულით და გულით ვუსურვებთ ამ შრომის დაგვირგვინებასა და შემდეგ სხვა კლასიკურ მსოფლიო ნაწარმოებთა თარგმნის დაწყებას. ჰღირს კი ერთმა კაცმა მაინც თავისი სიცოცხლე შესწიროს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს.

**მ. გ.**

## სასამართლო

**გემიდან ერთი მილიონი მანეთის გატაცების განზრახვა.**

2 დეკემბერს ბაქოს ოლქის სასამართლოში 15 კაცის საქმე გაირჩა, მათ ბრალდებოდათ გემიდან 1,200,000 მანეთის გატაცების განზრახვა.

ბრალდებულნი, მათ შორის პრაპორშჩიკი ნიკოლოზ რევაზის ძე მაჭავარიანი, სასამართლოში ბორკილებით მოიყვანეს. დამცველებად იყვნენ: მოსკოველი ნაფიცი ვექილი ბაიკოვი და ა. კ. ლეონტიევიჩი. საბრალმდებლო ოქმი მოკლედ ასეთია:

1909 წლის 15 მარტს ბაქოს მაძებარ პოლიციის ზედამხედველად ნამყოფმა სეიფალ ბაღიროვმა ამ პოლიციის უფროსთან, დურიევთან მიიყვანა ერთი კაცი, რომელმაც განაცხადა: ბაქოში ამ ჟამად იმყოფება ქართველ მძარცველთა ბრბო. ამ ბრბომ შეიტყო, რომ 20 მარტს გემით ბაქოდან კრასნოვოდსკში იგზავნება დიდი ფული და უკვე შეემზადნენ გაძარცვისათვის. ბრბოს წევრნი, რიცხვით 20 კაცზე მეტი, გემში ჩასხდებიან, როგორც ჩვეულებრივი მგზავრები, ხოლო მათი ბელადი მაჭავარიანი, რომელსაც აფიცრის ფორმა აცვია და ამიტომ საეჭვო კაცად არ ჩასთვლიან, გემზე იარაღს გადაზიდავს. როდესაც გემი ნავთ-სადგურს გასცილდება, ბრბოს წევრნი ჯარს თავს დაეცემიან, ამოჰხოცავენ, ფულს ხელში ჩაიგდებენ, გემის მანქანას მოშლიან და მეზღვაურთ იარაღით აიძულებენ, ნაპირს გადასხან, სადაც სხვა ამხანაგებიც დახვდებიან. მაჭავარიანს გარდა უცნობმა სერგო ქორიძეც დაასახელა, რომელიც მახარაძის გვარით სცხოვრობსო. დურიევმა უცნობი გრადონაჩალნიკ მარტინოვთან წაიყვანა. უკანასკნელმა ეს ამბავი მაშინვე დაიჯერა, რადგან ასეთი ცნობა სხვა წყაროებიდანაც მიიღო. გრადონაჩალნიკმა დაუყოვნებლივ ზომები მიიღო გაძარცვის ასაცილებლად და მძარცველთა შესაპყრობად.

20 მარტს, საღამოთი, ნავთ-სადგურზე, საიდანაც გემი „იმპერატორ ნიკოლოზ II“ უნდა გასულიყო პოლიციის გადაცმული აგენტები დააყენა, აგრეთვე პოლიციელთა და ჯარის კაცთა რაზმები გაამლიერა.

საღამოს 6 საათზე ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან ფული 1.200,000 მანეთი გაძლიერებულ ჯარის თანხლებით გემზე მიიტანეს. გემზე ავიდა მაჭავარიანიც. მესამე ზარის დარეკის წინ გემს შემოერტყნენ ჯარის კაცნი და პოლიციელნი და ყველგან გზა შეჰკრეს. პირველად მაჭავარიანი შეიპყრეს და შემდეგ ყველა ის, რომელნიც საეჭვოდ ეჩვენებოდათ.

სამართალში მიცემულ იქმნენ შემდეგი პირნი: ნიკოლოზ მაჭავარიანი, სვიმონ ბერიძე, ივანე მაჭავარიანი, კრისტო ვლასტოპულო, ვასილ ნატრიაშვილი, სერგო ქორიძე, ბეჟან ავალიანი, რაზმან მეგრელიძე, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, გერასიმე თავართქილაძე, ლავრენტი გიორგობიანი, სამსონ კოკოშიძე, სამუელ კოვზარაძე, ვიქტორ ლოლაძე, პლატონ სარიშვილი და ნიკოლოზ ბებურიშვილი.

3 დეკემბერს სასამართლომ განაჩენი გამოაცხადა, რომლითაც პრაპორშჩიკს მაჭავარიანს 5 წლით კატორღა, ხოლო დანარჩენთ უფლებათა ჩამორთმევა და 6 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა.

## განცხადებანი

**გამოცდილი მასწავლებელი**

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც —პანსიონში, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც).

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. საღ. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ადგილას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала). (თ—152—33)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

უოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღანი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი**. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.

**ბ. გ. ავახაროვი**: 1½—2 ს. შინაგ და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერმანცი**: 6—6 ს საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**თ. მ. მეეფსკაია-ენგელი**: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი**: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**.

◀ მშობიარეთათვის ▶

**თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.**

ოლგას ქ., ზაბელოს ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—29)

**სხვა და სხვა წამლების საწყობი**

**ი. ახობაძისა**

გადავიდა ახალ ბინაზე მუხრანის ქ. № 8 საწყობში ისყიდება: „სპერმატინი“ კბილის წამალი **ალმეზა, კრემ ნილლი**, რომელიც არბილებს ხელებსა და სახეს. აგრეთვე **ციებ ცხელების** წამალი.

წიგნაკები უფასოდ.

წამლები იგზავნება ფას დაკლებითაც. (10—237—3)

**მოგებიან ბილეთების გაყიდვა**

**სახელმწიფო სესხით**

ნაწილ-ნაწილ განაღდებით ვადით უზღუდ. ბილეთის მთელი ფასი ნაღდდება ყოველ თვიურის 6 მან. შეტანით.

1-ლ შეტანის შემდეგ მყიდველი მონაწილეა მოგებათა მახლობელ ტირაჟში. პირველი შესატანი 6 მან. შეიძლება გამოიგზავნოს ფოსტის მარკებითაც.

საბანკო სახლი ВАРШАВА, ВРАТСКАЯ 18. **ლ. ვ. ლანდაუ და ამხ.** სადეპეშო ადრესი: „Варшава Ландаубанкъ“
Метцль 89563. (5—235—5)

მოითხოვეთ ბუნებრივი კახური ღვინოები ფირმისა

**გრანდ-კახეთია**

შუა ბაზაზარი, სახლი 13.

ფასები: **ბოთლი 20—50 კ.**, **ვედრობით 2 მან. 40 კ.-დან 6 მ.-მდე მიტანით.** ღვინის საწყობთან არსებობს საუცხოვო სამზარეულო ევროპიულ და კავკასიურ საჭმელებისა.

(20—240—4) პატივისცემით **ნ. გ. ჩაგუნავა და ს. სამადაშვილი.**

**ცენტრალური აზიური ბუფეტი**

**პურ-ღვინო**

**ვორონცოვის მოედანზე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ**

საჭმელები ევროპიული და კავკასიური; ღვინოები კახური საუკეთესო ფირმებისა და სვირული—ბოთლი 25 კაპეიკიდან 1 მანეთამდე; მაგარი სასმელები რუსეთისა და საზღვარ გარეთისა ზომიერ ფასებში; ყოველ-დღე ცოცხალი თევზი; ცალკე კაბინეტები; მოსამსახურენი სუფთა და მკვირცხლი.

✦ **ვაჭრობა ღამის 2 საათამდე** ✦

20—160—14) ამხანაგობის გამგე **არხიპო ჰიჰინაძე.**




მ ო ი თ ხ ო ვ ე თ

**სწორე და მკვიდრი საათები!**

**ნუ გამოეკიდებით იაფ ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.**

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი საზურავით «ბ ე ც ს ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სიკარგის ნიშნით“. ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეღოდ. გაგზავნა გადასახადით 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

ПАРИЖЪ 7 PARIS — S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis.

უფასოთ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს პრელოკით და ზამშიბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.
(Моцль N 53647). (34—15—11)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფოთოევის მრეწველობისა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ**

**ძმ. ძეგველოვების**

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

**პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,**

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი**

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა**

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

**მიღებულია დვინის ორაგული** (სიომგა)

**მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ.**

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—128—50)

ერთად-ერთი საწყობი ფოთოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა